

1920

ს. ს. შინკაძე



MENS SANA IN CORPUS SANI



ქართული

ქუთაისის ტან-საპარჭირო საზოგადოება „შეპარდენი“-ს დროგამთავრებითი ორგანო.

№ 2. 26 განი 1920.

ფ-5773
1670



ქუთაისი. 26 მაისი 1920.


- პ. მარგანიძე. მოსწვე. ახალგაზღვრების ფიზიკური აღზრდა.
- ვ. პატრიძე. „შევარდნი“ და ხელოვნება
- ვ. ტოგონიძე. ფეხბურთი.
- ივ. ბერიძის ნათარგმნი „შევარდნი“-ს მარშის სიტყვები.
- მ. გორგაძე. საშევარდნო ტან-ვარჯ. სახელსახეობისათვის.
- ი. კიზირია. ტან-ვარჯიშობის საქმე სამეგრელოში.
- თ. ზუნდაძას ასული. მ დღის დებიტტი.
- ნიკ. დარბაქიძე. ფეხბურთელთა შეჯიბრ. ახალსენაკში.
- ვ. აბზიანიძე. ველოსპორტელთა სექცია „შევარდნი“-თან.
- შეჯიბრება პირველობაზე თფილისის „შევარდნი“-ში.
- მ. გორგაძე. მ მაისის გამოცემა ქუთაისში.
- ვ. ლევაია. ფეხბურთელთა შეჯიბრება ქუთაისში.

პ. მარგანიძე.

თფილისის „შევარდნი“-ს ძალისხმეითა ვაჟდის უფროსი.

მოსწავლე ახალგაზღვრების ფიზიკური აღზრდა

დასავლეთ ევროპაში კარგახანია, რაც საჭიროდ სცნეს შეექმნათ კადრი ფიზიკურ აღზრდისათვის საჭირო გამოცდილ ხელმძღვანელებსა. დასავლეთ ევროპის ყველა დედა-ქალაქებში, სტოკჰოლმში მაგალითად არსებობს „ცენტრალური ტან-სავარჯიშო ინსტიტუტი“, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თავის მსმენელებს (როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებს) მიაწოდოს ყველა საჭირო მეცნიერული ცნობები და პრაქტიკული გამოცდილება. ეს ინსტიტუტი ამზადებს ინსტრუქტორებს და ტან ვარჯიშობის მასწავლებლებს. საგნები, რომელსაც გადიან „ცენტრალური ტან-სავარჯიშო ინსტიტუტში“ შემდეგია: თეორია—ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ტანვარჯიში პედაგოგიური, სამხედრო, სამკურნალო; პრაქტიკა—ტანვარჯიში-საშევარდნო, სამხედრო და შედური, ვარჯიში ტანვარჯიშობის სწავლებაში, პრაქტიკულად გაცნობა სპორტის ყველა დარგებთან. ამ ინსტიტუტების განსაკუთრებული საშახური იმაში გამოიხატება, რომ მათ ტან-ვარჯიში მეცნიერების ხარისხამდე აიყვანეს და იქ მოსწავლენი კი საზოგადოების შეხედულებაში შეიქმნენ სერიოზულ მაცადინობის წარმომადგენლებათ. აუ როგორი ნაბიჯია გადასადგამი საქართველოს სკოლაში ფიზიკურ აღზრდის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის, ამ საკითხის გადასაწყვეტათ საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი: 1) სკოლებში სპეციალურ ტან-სავარჯიშო დარბაზების და მოედნების მოწყობა. ხარჯის შესამცირებლათ რამოდენიმე სასწავლებლის ერთად შეერთება. 2) საჭიროა დაარსდეს ინსტიტუტი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლების აღსაზრდელათ. 3) შემოიღებულ უნდა იქნეს სასწავლებელში ტან-ვარჯიშის გარდა ცნობები ჰიგიენიდან და ჯანმთელობის დაცვაში. 4) ხელის შე-



წყობა ფიზიკურ აღზრდის შესახებ ლიტერატურის გავრცელებაში) ტან-ვარჯიშულ და საერთოდ სასპორტო დღესასწაულებს გამართვა საქართველოს ყველა კუთხეებში. ეხლა ვიტყვი რამოდენიმე სიტყვას ფიზიკურ აღზრდასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სპორტზე. როგორც სავალდებულო საგანი სასწავლებელში ტან-ვარჯიში კარგავს მოწაფეთა შორის ინტერესს, ხდება მათ აუცილებელ ვალდებულ-საგანთ და მასწავლებელი იძულებული ხდება რამოდენიმეთ მინც შეამსუბუქოს ეს ვალდებულება და მოწაფეთა თვალში იგი საინტერესოთ გახადოს. აი აქ სწორედ დაუფასებელ დახმარებას უწევს მასწავლებელს სპორტი და მთელი მძღვეოსნობა. შეჯიბრება, რომელიც უძვეს საფუძვლათ ყოველგვარ სპორტს და თამაშს, მეტად მიმზიდველათ ხდის საგანს. ფიზიკური ვარჯიშობა შეჯიბრების სახით ბევრათ უფრო საინტერესოა, ვიდრე იგივე წინდაწინვე შემუშავებულ პროგრამით, რომლის ასრულების დროს მოწაფე ინდივიდუალობას ვერ გამოიჩინს. სასწავლებელში შემოღებული სპორტი ისეთ ფარგლებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომ უზრუნველ ჰყოს მოწაფე ზედ-მეტ ვარჯიშობისაგან და მასთან დაკავშირებულ მავნებლობისაგან. მაცადინობა სხვა-გვარ სპორტით ინსტრუქტორების და სპეციალისტების ხელმძღვანელობით საცხებით ფიზიკურ ვარჯიშობის და ტან-ვარჯიშობის იმ პროგრამას შეაყვებს, რომელიც უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლებისათვის საქართველოში.

2

მანო კატარძი.

ქუთაისის „შეგარდენი“-ს მოვარჯიშე

„შეგარდენი“ და სვლავნიზა.

ვინ არ იცის, რომ ყოველ ერის ცხოვრებაში რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯან-მთელობას და მტკიცე ხასიათს. ეს შესანიშნავი თვისებები ახასიათებდა წარსულში დიდ ერებს, რომელთაც კაცობრიობის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვით; სწორედ ამ მხრივ უპირატესობა ეძლევა ტან-ვარჯიშობას. მაგრამ ტან-ვარჯიშობასთან თუ არ იქნა გონებრივი წვრთნაც, ისე შესაფერ ნაყოფს ვერ მივიღებთ. ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშობა უნდა იყოს ერთმანეთში პარმონიულად შეთანხმებული; მხოლოდ ასეთი მწყობრი განვითარება აღამიანისა მოგვეცემს ჯანმთელს და საღ მოაზროვნე პიროვნებებს, რადგან ძველათ თქმულა: „Mens sana in corpore sano“. ამ მხრივ ელინები და რომაელები მუდამ დარჩებიან როგორც დიდი მაგალითები. ამ გვარ პიროვნების განვითარებას ევროპამ მიაქცია ყურადღება და ფიქტმის ყოველ ევროპიულ სახელმწიფოებმა მიჰბაძეს მათ. პირველი თამამი ნაბიჯი გადასდგა ჩვენმა. ჩვენთში ტან-ვარჯიშობა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა; მის ასაზრდოებელ პატრიოტული სული.

საქართველომაც გამოეხმაურა ევროპას და დააარსა ამგვარი საზოგადოება თფილისსა და ქუთაისს, და მალე მოედება დანარჩენ კუთხეებსაც.¹⁾

ეს დიდი მოვლენაა ქართველ ერის ცხოვრებაში. საქართველოს რენესანსი უთუოდ უნდა დაიწყოს ჯერ თუ არ დაწყებულა, და უპირველეს ყოვლისა „შევარდენ“-საც ექნება შეტანილი თავის წვლილი.

მაგრამ მე აქ მინტერესებს „ტან-ვარჯიშობის“ სულ სხვა მხარე, (რადგან მას აქვს მრავალი მხარეები, და ყველა ამ მხარის აღწერასხვა შეუძლებელია ამ მოკლე წერილში) სახელდობრ ვარჯიშობა როგორც ერთი აქტიური ძალათაგანი მხატვრის თუ მოქანდაკის შემოქმედებაში.

ტან-ვარჯიშობას, ან უკეთ რომ ვსთქვათ დღევანდელ მიღებულ სახელსახებით „შე-ვარდენ“-ს, აქვს ისეთი დიდი ისტორია, როგორც თვით კაცობრიობას; მისი გაჩენა დაკავშირებულია ადამიანის მოვლენასთან დედამიწაზე. მაგრამ თავისი სრული, ნამდვილი მეცნიერული სახე მიიღო ელადაში, სადაც „ვარჯიშებდნენ სხეულს, რათა განეეითარებიათ მასში არა მარტო ძლიერება, მკრიეობა და სისწრაფე, არამედ მიეცათ მასთან ერთად თან-შეზომილობა და მშვენიერება“.²⁾

ელინელი მოვარჯიშენი იყვნენ ზღაპრულ ძალოსნობით დაჯილდოვებული. თავის არა ჩვეულებრივ მოქმედებით, ისინი მოვარჯიშებდნენ იმ გმირებს, რომლებიც გვხვდება მათ მითოლოგიაში. „პოლიგამი, მსგავსად ჰერკულესისა, ხვდება ლომს და თავზარს სცემს მას“.³⁾ მაგრამ მასთანავე განიცდიდნენ საშინელ ტრაგიზმს. შემოხსენებული პოლიგამი მოყვება კლდეს, რომელიც სურს შეაჩეროს თავის მძლავრ მკლავებით. მიუხედავად ელინელ მოვარჯიშეთა ასეთ ძლიერებისა, მათ ტანში დაცული იყო ტან-შეზომილობა და მშვენიერება; მათ მიხვრა-მოხვრაში ისახებოდა ერთნაირი ჰარმონია. სიმეტრიულად განვითარებული ელინელის ტანი, ატყვევებდა მაყურებლებს და აკვირვებდა თავისუფალ მოძრაობით. „ძველი ბერძენი, მიყრდნობილია კედელს თუ მიდის, ან თუ დგას ფეხზე, ის იყო ყველა ამ პოზებში მშვენიერი ისე როგორც ქანდაკება“.⁴⁾ არა ნაკლებ მშვენიერებას წარმოადგენდა ვარჯიშობისთვის დანიშნული ადგილი, რომელიც მდინარის პირს იყო გამართული და რომელსაც ამშვენიებდა ქანდაკებები. ირგვლივ ადგილი მაყურებლებისთვის იყო დატოვებული. აქ მოდიოდნენ საყურებლად სამასლაათით; შემდეგ აქ დაიბადა ფილოსოფია. არა ერთი და ორი გამოჩენილი მოაზროვნე იღებდა მონაწილეობას ამ ვარჯიშობაში:

1) უკვე ასეთი საზოგადოებები დაარსდა ანალ-სენაკში და სამტრედიოში და განზრახულია დაარსდეს ხაშურში, ბათუმში და ფოთში. რედაკციის შენიშვნა.

2) Тэн. Чтёние об искусствѣ, გვ. 435.

3) Дэль. По греціи გვ. 267.

4) Тэн. Чтён. об искусствѣ გვ. 436.

პლატონი და მგოსანი თემეკრონი იყვნენ დაჯილდოვებული, როგორც საუკეთესო მძღოლსაწინა. ამგვარი იყო საბერძნეთის ვარჯიშობის საერთო სახე.

რა საკვირველი იქნება თუ ამ გვარ წრეში მაშინდელი მოქანდაკე გაშლიდა თავის მძღავრ ფრთებს და შექმნიდა ისეთ ნაწარმოებს, რომლებიც ჩვენ დღესაც გვიხიბლავს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელ ხელოვანს უხებოდა მონაწილეობის მიღება სულ სხვა სფეროში ვიდრე დღეს: „ჩიკტილი ოთახში, მოხუბრული შავ ტანსაცმელში, მტკიცედ დაცული ჟანდარმებით, უგულვებ ყვავით ფიზიკური სიცოცხლე და ფიზიკური ვარჯიშობანი“.¹⁾ თითქოს ჩვენ გვეშინია ჩვენივე შიშველი სხეულის და ვფაჩავთ მას რაც შეიძლება. ვინმემ რო გაბედოს უქულოდ გავლა ხალხში, ვინ იცის რით არ მოვნათლავთ. მაშინ კი ე. ი. ძველ საბერძნეთში ასე არ იყო. ბერძნის ამავე სხეულს ფარავდა ზამთარ და ზაფხულ მარტო ერთი მოსასხამი, დადიოდა უქულოდ და ფეხშიშველა. ყინვისაგან და მზისაგან დამწვარი და გაამგრებული ბერძნის სხეულის კანი მოგეჩვენებოდა, როგორც ბუნებრივი ტანსაცმელი. მათი სხეულის კუნთები ამაყად გამოიყურებოდნენ. წონასწორობა იყო დაცული მათში. ასეთ სხეულის მოძრაობის დროს, ადამიანს არ გამოეპარებოდა არც ერთი კუნთები, მით უფრო მოქანდაკეს, რომელიც დაინტერესებული იყო, რომ გამოეკვეთა იდეალური სხეული. მის წინ იშლებოდა სიმეტრიულად განვითარებული ტანები. მას შეეძლო არა მარტო ეგრძნო, არამედ შეეხედა, ხელითაც შეეხებოდა; განეცადა სხვა და სხვა პოზები ვარჯიშობის დროს, და თავის დიდი ნიჭის საშვალებით უკვდავ ეყო მარმარილოში. პირველად ამგვარად გადადგმული ნაბიჯი, ცდა სუსტი იყო და პოზები კი უხემ ფორმებში გამოსახული; შემდეგ კი მიაღწია თავის იდეალურ სახეს.

პრაქსიტელის, ფირდიუსის და სხვების ნაწარმოები დარჩებიან როგორც საბერძნეთის ტან-ვარჯიშობის ნაყოფი. ისეთები (როგორიც ვენერა, აფროდიტა, აპოლონი და სხ.), „ყოველ-დღიურ რეალურ სინამდვილეში“ არ მოიძენება: „თვითთული მანთვანი სახე-იდება წარმოადგენს, რომელსაც მხატვრული ინტუიციით სწვდა ხელოვნი და შემოქმედი ფანტაზიით მისცა მას სახე-სხეული“.²⁾ დასრულებული იდეალური სხეულის.

ნაწილები გაფანტულია ყოველ ადამიანში. ხოლო ხელოვანის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ შეაერთოს ეს იდეალური ნაწილები და მოგვეცეს მთლიანი ყოველად უნაკლო ქმნილებანი. სწორედ აქ ისახება ცხოველ-მყოფელი ნიჭი ზემოხსენებულ გენიოსებისა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ტან-ვარჯიშობას, სადაც ხელო-

1) Тэн. Путешествіе по Италіи гв. 203.

2) იხ. „სახალხო განთით 1913 წ. № 870. გ. რომაქიმე ვროვნული სული.

ვანს თავისუფლათ შეუძლია ეს გაბნეული სხეულის ნაწილები, შეისწავლოს, შეგ-
ერთოს და გადაგვიწალოს იდეალურ „სახე-სხეულებად“.
საქართველომაც დააარსა ტან-ვარჯიშობა „შეგარდენის“ სახით უფრო გაღრმავ-
ებული დ იდეალური, ვინემ ძველ საბერძნეთში. ეს დიდი ხნის სანატრელი საგანია
მხატვარ-მოქანდაკისათვის. მათ გადაეშლებათ მომავალში დიდი პრესექტივები შე-
მოქმედებისათვის.

3. ტოგონიქე.

თფილისის გუნდის „26 მაისი“-ს ფეხბურთელი.

აყსწურთა.


I

ფეხბურთი (ფუტბოლი) ინგლისური სპორტია. ის ჩისახა ინგლისში ჯერ კიდევ
უძველეს დროში. მან თავის განვითარებაში მრავალი ეტაპები განვლო. რამდენა-
დაც ცხოვრება თავის კულტურის გაქანებით პოტენციალურად ვითარდება, იმდენ-
ად საერთოდ სპორტი და კერძოდ ფეხბურთიც თავის განვითარებაში ატარებს
ასეთსავე პოტენციალს, ფეხბურთმა მრავალი ეტაპები განვლო მეთქი: მისი უძვე-
ლესი სახე ინგლისში და საერთოდ ყველგან ვულგარული იყო. სხვანაირად არც
შეიძლებაოდა, ვინაიდან ის როგორც იმ დროინდელ კულტურულ ვითარების პრო-
დუქტი ვერ იქნებოდა, ასე ვსთქვათ, ელასტიური, მაგრამ თანდათანობით, რო-
გორც ცხოვრების ყოველი დარგი ექვემდებარებოდა განსახდვრულ დისციპლინას,
ისე ფეხბურთის წარმოებისათვისაც იქნა შედგენილი განსაკუთრებული კანონები.
ასეთი გარდატეხა ფეხბურთის სპორტში, რამდენადაც ვიცით, დაიწყო მე-XIX სა-
უკუნეში ინგლისში. კანონები მუშავდებოდა თანდათანობით და იმავე საუკუნის მე-
ორე ნახევარში საბოლოოდ იქნა შედგენილი ინგლისის ფეხბურთელთა ასოციაციის
მიერ. დღემდე ეს კანონები ძალიაში არიან; თამაშის ტაქტიკა განიცდის ცვალებ-
დობას; მაგალითად, მე-XIX საუკუნის მიწურულში მოთამაშენი არ ხელმძღვანელობ-
დენ კოლექტიურ თვალთახედვის პრინციპით; თამაშს ქონდა ინდივიდუალური ხა-
სიათი, ყოველი მოთამაშე ცდილობდა მოწინააღმდეგის ქიშკარში დამოუკიდებლად
ბურთის შეგორებას. მაგრამ ფეხბურთელნი მალე დარწმუნდნენ ასეთი ტაქტიკის
უვარგისობაში და შოტლანდიელების მიერ შემოღებულ იქნა თამაშის ახალი ტაქ-
ტიკა, რომელსაც განსასდვრავდა სწორედ ეს კოლექტიური პრინციპი. ეს თამაშის
ახალი ტაქტიკა შეეხება უმთავრესად წინმსვლელებს. ამ ტაქტიკის შინაარსის დე-
ტალურად განხილვას ეხლა არ შეუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ თამაშის ასეთ
ტაქტიკამ ძალიან გასწმინდა და გადაახალისა ფეხბურთი.

და სწორედ აქედან იწყება ამ სპორტის კოლოსალური ზრდა და ის მთელ ქვეყანას ედება. ინგლისში ხომ თავის თავად პოპულარიული იყო ფეხბურთი და სხვა ქვეყნებშიც არა ნაკლები ინტერესი და გამომხმარებელი ჰპოვა მან. მაგალითად, გერმანიაში 1913 წელს ბერლინის ფეხბურთელთა კლუბი იტევდა 60,000 მოთამაშეს. ასე იყო ევროპის სხვა ქვეყნებშიც, აგრეთვე ამერიკაში; ავსტრალიაში და ჩრდილო ამერიკაშიც არსებობდნენ ფეხბურთელთა კლუბები და ფერეინები. ასეთი მდგომარეობის შექმნის შემდეგ მთელი ქვეყნის ფეხბურთელთა ასსოციაციებს შეძლება მიეცათ შეკავშირებულიყვნენ " ინტერნაციონალურ ფეხბურთელთა ასსოციაციის " სახელწოდებით. ამ ასსოციაციამ მრავალჯერ მოაწყო საერთაშორისო შეჯიბრებები, მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ეს ვერ მოხერხდა საერთო გარდარეულობის გამო.

საერთაშორისო შეჯიბრებებში განსაკუთრებით სახელი მოიხვეჭეს შოტლანდიელებმა, ბელგიელებმა, დანიელებმა და სხ. კმარა რაცა ვსთქვი ამ სპორტზე საერთო მაშტაბით, ეხლა მოკლედ შევეხები მის მდგომარეობას საქართველოში. ძველად ქართველებს უყვარდათ ბურთაობა. ამის მაგალითებს ვკითხულობთ ზოგიერთ ისტორიულ ნაწერებში. ძველი ქართული ბურთაობა, ჩემის ფიქრით, იგივე იყო, რაც ძველი ინგლისური ფეხბურთი. ძველი ფეხბურთი ინგლისში შეიქმნა ახალით, მხოლოდ ჩვენში ძველი მოკვდა მოკვდა იმიტომ, რომ ის არ შესცვალა ახალი სახის ფეხბურთმა. მიზეზები ამისა მრავალია, რომელთა აღნუსხვას აქ არ შევუდგები. კლასიკური ქართველი ფეხბურთელი ჩვენში თითებზე ჩამოთვლება. ისე კი თუ ნაციონალურ შემადგენლობას არ მივიღებთ სახეში, არსებობს კარგად მოწყობილი გუნდები: ტფილისის „შევარდენი“-ს პირველი გუნდი, ქუთაისის „შევარდენი“-ს პირველი გუნდი და აგრეთვე ფეხბურთელთა საზ-ბა ტფილისში „26 მაისი“. ეს არ არის რასაკვირველია დამაკმაყოფილებელი, სასურველია რათა განახლებულ საქართველოში ქართველობა მეტის ინტერესით და ხალისით დაეწაფოს ამ სპორტს და ამით საშუალება მისცეს თავისთავს რომ მისი ხმაც გაისმას იმ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც აღბად მოაწყობს „ინტერნაციონალური ფეხბურთელთა ასოციაცია“.

6





03. ბერიძის (ნათარგმნი).

შეჯარღენის მატრის სიფყვი.

ლომ-გმირთ ძალ-ღონით და ლალი შევარდნის აღმაფრენითა ხელი ხელ ჩაკიდებული წინ წინ გავსწიოთ ლხენითა. მოგველის ბრძოლის ძნელი გზა წარმოუთქმელი ენითა— მაშ დავენაცვლოთ სამშობლოს სიმამაცითა ჩვენითა!..

დღეს შევარდენო, და - ძმანო აღმაფრენ აღტყინებითა შევტოპოთ მდღვრათ ბრძოლაში გამარჯვებისა რწმენითა. შევარდნის დროში აემართოთ! სამშობლომ შევარდენითა ითინათინოს მნათობმა კაშკაშ სხივების ფენითა.

შევარდენტ მწკრივი შევავსოთ ქვეყნის სუყველა ერთა; მადალი სულით, კაჟ-გულით, სათნოებ ლმოზიერითა. სისწრაფ-სიმარღით-სისხარტით შევხორცდეთ მშვენიერთითა— სამშობლო ვათავიგულოთ ავკედლდეთ ფარ-შიმშერთითა.

26 I 1920. დედა-ქალაქი.

მ. გორგაძე.

ქუთაისის „შევარდენი“-ს წურთენელი.

მასკლჷში საშეჯარღნთ ცანჯარჯიანის სასკლსასკლშისათვის.

დღემდის საშეჯარღნო სახელსახება ქართულად არ არსებობდა. მართალია იგი განმოთარგმნეს 1911—1913 წლებში, მაგრამ ხმრებაში არ ყოფილა. მხოლოდ 1918 წელს თფილისის წურთენელთა კრებულმა გადმოთარგმნილი ტერმინოლოგია შეამუშავა, ხელმოკრეთ გადახედა და მის შემდეგ მხოლოდ შემოდის იგი ხმარებაში. 1920 წელს თფილისში დაიბეჷდა საშეჯარღნო ტანჯარჯიშის სახელსახება, რომლითაც უკვე ხელმძღვანელობენ როგორც „შევარდენში“ აგრეთვე სასწავლებლებში. აჷ არ შეეგებები ამ ტერმინოლოგიას, ვინაიდან მის შესახებ უკვე იყო გამოთქმული აზრი „შევარდენის“-ს პირველ ნომერში. ვიტყვი მხოლოდ, რომ კიდევ ბევრი მუშაობა საჷირო სახელ-სახების შესავსებათ. სიტყვები რომელიც ქვემოთაა მოთავსებული, ამოჩეულია ჩემს მიერ „ეფუხის ტყაოსნის“ ლექსიკონიდან. აჷ ნახავთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც არ არის მოთავსებული საშეჯარღნო ტანჯარჯიშის სახელსახებაში და ამისათვის მათი აღნიშვნა. აუცილებელ საჷიროებათ მიმაჩნია. უფრო შესანიშნავი და აუცილებლათ საჷირო სიტყვები ხაზგასმულია: არე—ადგილი.

ასპარეზი—სარბიელი, მოჭიდავეთა გამოსაცდელი ადგილი.

აფოლხება—აშვება, ახსნა რისამე.

აჯილა—თეთრი თავსაფარი.

ბაზმა—სანათი, ლამპარი (ბაზმებით ვარჯიშობა).

ბრკობა—ფანტეა, ბნევა.

გაველაგდი—ადგილი დავიჭირე, ავირჩიე.

გავეზი—შეგარდენი.

გვირაბი—თხრილი, ხვრელი.

დაზმა—ხანის დაყოფა, დაყოვნა.

დგენა—მარულა, ცხენების შეჯიბრება ქენებაში.

ზარადი—თავზე ჩამოსახურავი ბრძოლის დროს.

კრთობა—სროლა, ტყორცნა.

თხავლა—ბადის ვადსროლა.

მარგელი—სარი, მანა (მ.ი.ი).

მანა—ბალო—ლორსმანი, რომელიც ჯაჭვზეა მიბმული.

მიაცარვებს (ცორვა)—მიათოხარეებს.

8

მუზარადი—რკნის ქუდი.

მჯილი—მუჭი.

რება—სიარული, სვლა.

რონება—ტარება.

რული—რებული, ნარები.

საბარკული—იარაღისაგან ფეხის დასაცავი მოწყობილობა.

საკურტაკე (კურტაკი)—მოკლე, უსახელო რკინის პერანგი.

სალამე—დასასვენებელი ადგილი

სრევა—უკუგდება, დაყრა (კრივის დროს).

სწრობილი—გასწრებული, რომელიც ასწრებს (სირობლის დროს).

ტაბლაკი—პატარა ბარბანი (ტაბლაკობა).

ფანოსი—ფანარი.

ღირობა—მოქნევა ხმლისა (ფარეკაობის დროს).


ყმუნვა—შესვენება.

ყოღბი—შუა-ადგილი, შუა-გული.

ჩოგანი—ბურთის გასაკრავი ადგილი.

ჯავშანი—რკინის პერანგი.

ჰსულე!—გაჩუმების ნიშანი



შატავრი-შოქანდაკე სოფელი.

საქათვალის „შეჯარდენი“-ს ნიშანი.

თელისის და ქუთაისის ტან-საეარჯიშო საზოგ. „შეჯარდენი“-ს საბჭოების მიერ მიღებული და დამტკიცებული.

სამართვმულს ტან-საეარჯიშო საზოგადოებების სხმერებიან

ისაკი კიზირია.

ახალსენაკის „შეჯარდენი“-ს ვარჯიშთავის თანამდებობის აღმასრულებელი.

ცან-ჯატიღიშის საქმე სამეგრელოში.

ამ მცირე წერილით მე მინდა შეძლებისდაგვარათ ვაცნობო ჩვენს და—ძმებს; თუ რა მდგომარეობაში იყოფება ამ ეპოქით ტანვარჯიშობის საქმე სამეგრელოში. ყველას მოეხსენება, რომ ზღვის ახლო მდებარე სამეგრელო ციებ-ცხელებიან მხარეს წარმოადგენს და ამის გამო მცხოვრებთა დიდი პროცენტი ფიზიკურათ გადავარების გზას ადგია, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ არასასიამოვნო



მოვლენის მოსაშორებლათ საქირო და აუცილებელი იყო სამეგრელოში ტანვარჯი-
ბის სწავლის საქმის ფართოთ დაყენება, მაგრამ დღემდე აქ ამ დარგში თანაქმის
არაფერი გაკეთებულა განსაკუთრებით რევოლიუციის შემდეგ სენაკისა და ზუგდი-
დის მაზრებში საგრძნობლათ გამრავლდა რიცხვი საშუალო და უმაღლეს დაწყებითი
სასწავლებლების; მაგალ: სენაკის მაზრაში საშუალო სასწავლებელთა რიცხვი უდრის
7, ხოლო უმაღლ. დაწყებ. — 14; ზუგდიდის მაზრაში — საშუალო სასწ. — 2, ხოლო
უმაღლ. დაწყ. — 9. არცერთ ამ ზემოხსენებულ სასწავლებელში ტანვარჯიშობის სა-
ქმე სასურველ დონეზე არ არის დაყენებული, საქირო იარაღზე და სხვა და სხვა
მოწყობილობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც გავიგეთ, მთავრობას განუზრახავს ამ ზაფხულში სრულიათ საქართველოს
ტანვარჯიშობის სასწავლებელთათვის სპეციალურ კურსების მოწყობა თფილისის
ტანვარჯიშობის საზოგად. „შევარდენ.“ თან. მართალია, რომ ამით დაბრკოლების
მხოლოდ პირველი ზღუდე იქნება გადალახული, მხოლოდ საბოლოოთ მიზანს მა-
შინ მივაღწევთ, როდესაც ყოველგვარი საქირო ტექნიკური მოწყობილობა შექ-
ნილ იქნება სასწავლებელში: იარაღები, დარბაზი და სხ. ამისათვის კი საქიროა
თვით ამ საზოგადოების ჩაბმა ტანვარჯიშობის სწავლის საქმეში ყველას უნდა გვახ-
სოვდეს, რომ ტანვარჯიშობის საქმის წინ წაწევიტ საზოგადოებას შეუძლია გადა-
არჩინოს ახალგაზრდობა მოსალოდნელ გადაგვარებას. ამ მიზნით ახალსენაკში და-
არსდა ტანსავეარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“, რომელსაც სენაკის სამაზრო
ერობის გამგეობამ შეპირდა დახმარების აღმოჩენა გიმნაზიის ეზოში დარბაზის გა-
შენების საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ ეს ნორჩი საზოგადოება, მიუხედავთ იმისა,
რომ მას არა აქვს ჯერჯერობით არავითარი მატერიალური საშუალება, გარდა ენერ-
გიისა და ინიციატივისა, პირნათლათ შესრულდეს დაკისრებულ მძიმე მოვალეობას
ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს საზოგადოება „შევარდენ“-ს გვერდში ამოუდგება ჩვენი
ერის ყველა მონაწილე ელემენტები, რომელთაც შეგნებული და გათვალისწინებუ-
ლი აქვს ტანვარჯიშობის დიდი მნიშვნელობა ერის ფიზიკურათ გაჯანსაღებისათვის
გადალახვენ ყოველგვარ დაბრკოლებებს და ტანვარჯიშობის საქმეს დააყენებენ
ჩვენში სასურველ ნიადაგზე.

10



თამარ ხუნდაძის ასული.

ქუთაისის, „შევარდენი“-ს წუროფენი.

3 დღის ეპიუდი.

2, 3 და 4 თებერვალს, 1920 წ. ქუთაისის პატარა, ღარიბ სცენაზე მოხდა ახლად დაარსებული „შევარდენი“-ს გამოსვლა.

მეტად დიდი ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ გამოსვლამ საზოგადოების უმეტეს ნაწილზე მოახდინა. საზოგადოების მხუარვალე თანაგრძნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ, ახალ დაწყებულ საქმეში, და „შევარდენი“-ც, გულწრფელი თანაგრძნობით გათამამებული, შემდეგში მეტის აღფრთოვანებით და სიხალისით იმუშავებს.

პირველ დღეს, ვარჯიშთაიდან დაწყებული უკანასკნელ მოვარჯიშემდე, ყველას აღელვება ეტყობოდა. ეს აღელვება გამოწვეული იყო, ჯერ ერთი მათთვის უცხო პირველი გამოსვლით საზოგადოების წინაშე, და მეორე კიდეც ის, რომ ეს პირველი გამოსვლა, ახლად ჩამოსულ თფილისის „შევარდენი“-ს ვარჯიშთავის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო.

სხვათა შორის სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა იგნატაშვილის (თბილისის ვარჯიშთაი) მიერ წყნარათ თქმულმა მოკლე სიტყვამ.

—საყვარლო ძმებო და დებო! მიმართა მან ახალგაზრდა შევარდენებს, დღეს „შევარდენი“-ს ბრწყინვალე დღესასწაულია და თქვენ თქვენი პირველ გამოსვლით „შევარდენი“ შესაფერის ღონეზე უნდა დააყენოთ. ნუ გერიდებათ, მაყურებლებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას, იმუშავეთ თქვენთვის წყნარათ და ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ვარჯიშთავს.

თბილისის ვარჯიშთავის გარდა, კიდეც მ ძმა იყო ჩამოსული, რომელიც ცალკე ლოჯიაში ისხდენ და ყოველ მოვარჯიშეს თანაგრძნობის ტაშის ცემით ამხნეებდენ. პატარა მოხსენების შემდეგ, რომელიც ტან-ვარჯიშობის ზრდა განვითარებას, მის აუცილებლობას და სარგებლობს ენებოდა, სცენაზე პატარა ბიჭები გამოვიდნენ; სასიამოვნო საყურებელი იყო მოხდენილათ დაწყობილ და გაწრთენილ რაზმის მარშზე სიარული.

როდესაც პატარა ბიჭების თავისუფალი ვარჯიშობა გათავდა, სცენაზე, მაშინვე პატარა გოგონები გამოვიდნენ, რომელიც ეროვნულ აღმებით ხელში გაზაფხულის ჭრელ პეპლებს წაგავდენ.

ბავშვების გამოსვლის შემდეგ, დიდი ვაჟების ღერძზე მუშაობა დაიწყო. უმეტესის ასხმული, მოქნილი ტანი სასიამოვნოთ გადადიოდა მაღალ იარაღზე და ისევ ისე მოქნილათ ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა:





ლამაზ სურათს წარმოადგენდა აგრეთვე მოზრდილ ქალების და ვაჟების მრავალ-
ფიგუროვანი, თავისუფალი მოძრაობა. საღამო საერთო გუნდობით დასრულდებოდა
საერთოთ ამ პირველი გამოსვლის პროგრამამ ხალხი დააკმაყოფილა დაწობილისიდან
ჩამოსულ სტუმრების იმედებს გადააჭარბა.

გამოთხოვებისას თბილისის ვარჯიშთავე მაგრათ, ძმურათ ჩამოართვა ხელი ქუთაისის
ვარჯიშთავეს და გრძნობით შენიშნა:

— დიდებული დღესასწაული გქონდათ თქვენ!

თამამათ შეიძლება ვსთქვათ, რომ ხანმოკლე მზადებისა და მუშაობის შემდეგ, ქუთა-
ისის „შევარდენ“-მა დიდი ნაყოფი გამოიღო და თუ მეცადინეობა გულ-მოდგინეთ
გაგრძელდა, ეს ნაყოფი თანდათან მომწიფდება.

საზოგადოთ აუცილებელია ის სიხალისე და გატაცება რომლითაც „შევარდენ“-ში
მუშაობას ეკიდებიან. არც შეიძლება, რომ ასეთ გამაცოცხლებელ მუშაობას ხალი-
სით არ მოეკიდოს ცოცხალი, მოძრავი ადამიანი.

ყოველ ვარჯიშობის შემდეგ რაღაც განსაკუთრებულ ღონეს და სიცოცხლის განუ-
საზღვრელ სურვილს გრძნობ; მთელ სხეულში სისხლი ენერგიულათ მუშაობს და
ძარღვებში სასიამოვნოთ დაივლის ხოლმე.

12

გამოსადგვია ვარჯიშობა არა მარტო სხეულისთვის, არამედ ზნეობრივსა და სულიერ
მხარეებით დიდი აღზრდითი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკური ვარჯიშობის აუცილებ-
ლობა ამ პატარა, უძველეს ლათინურ სიტყვებში ნათლათ გამოიხატება mens sa-
na in corpore sano, რაც ნიშნავს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!“

6. დარახველიძე.

ქუთაისის „შევარდენი“-ს ფეხბურთელი

დახმურთაულთა შუჯიჭრქმა ასალსენაკმე.

ქართველ ხალხმა კარგად იცის რა მნიშვნელობაც აქვს ერისათვის ყოველგვარ
სპორტს. მაგრამ მე მაინც მოკლეთ მინდა ავღნიშნო მისი მნიშვნელობა. სპორტი
არის ჯანმთელობის და ვაჟკაცობის სიმბოლო. ის ქმნის ვაჟკაცობის იმ სისწრაფეს,
რომელსაც მოკლებულია ყველა ის, ვინც ფაზიკურათ სუსტი და უძღურია სპორ-
ტის ერთი დარგი არის „ფუტბოლი“ ანუ „ფეხბურთი“, რომელმაც ამ უკანასკნელ
დროში საგრძნობლათ გაიძვრა ფეხვები საქართველოში. ამის დამამტკიცებელია
ყველა ის შეჯიბრებები, რომელნიც ხდება ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს
სხვა და სხვა ქალაქებში; უკვე არსებობს რამოდენიმე გაწვრთნილი გუნდი როგორც
არის, მაგალითად, თფილისის „შევარდენი“-ს ფეხბურთელთა I გუნდი, „26 მაისი“-ს
ფეხბურთელთა გუნდი, ქუთაისის „შევარდენი“-ს ფეხბურთელთა I გუნდი, სენაკის,

ფოთის და სხვა. ამ გუნდებს შორის დრო გამოშვებით ხდება შეჯიბრებები. სხვათა-
შორის ასეთი შეჯიბრება მოხდა ქუთაისის ტან-სავაჯიშო საზოგადოება „შევარ-
დენი“-ს ფეხბურთელთა I გუნდის და სენაკის ფეხბურთელთა გუნდის შორის. ეს
შეჯიბრება გაიმართა 25 აპრილს ქალაქ ახალ სენაკში. შეჯიბრება დაიწყო, 4 1/2
საათზე სადგურთან ახლო მაქელაძის მშენიერ ეზოში, მაგრამ შეჯიბრება ძალიან
კუდად ჩატარდა სხვა და სხვა მიზეზების გამო.

უპირველესი მიზეზი იყო აუტანელი ქარი, რომელმაც იმ დღებში სენაკში სახლ-
ბერკ კი დანგრია და რასაკვირველია ფეხბურთელებს ეს ქარი თამაშის საშუალებას
არ აძლევდა. როგორც კი გაკრავდნენ ფეხს ბურთს, უკანასკნელი ქარს გადაჰქონდა
რამოდენიმე ათი და ოცი საყენით სულ სხვა ეზოებში. თითქმის ათჯერ-ათუთხმეტჯერ
ბურთი გადაჰქონდა ქარს სულ სხვა მხრავ და შესძლებელია, რომ ესც იყო მი-
ზეზი, რომ გულმოსული მოთამაშენი ერთი მეორისადმი უტაქტობასაც იჩენდნენ.
ორივე გუნდი როგორც ქუთაისის ისე სენაკის გრძობდნენ რომ შეჯიბრება არ
შეიძლებოდა ქარის გამო, მაგრამ როგორც რომ მიღებულია საერთოთ, იძულებული
იყვნენ ეთამაშათ 15 წამი. მაინც ეხლა მე მინდა შევხებო იმ შეხვედრის წესს, რო-
მელიც წარმოადგენს ერთგვარ ტრადიციას ამა თუ იმ წრის ან ჯგუფისას. ტრადიცია
ქმნის საერთოთ კავშირს, აერთებს ერთ ჯგუფს მეორესთან, აცნობს ურთიერთ
შორის ყოველივე წესებს და ეს ტრადიცია ყოველთვის გატარებული უნდა იყოს
ყველა ჯგუფების მიერ. ამ შემთხვევაში სენაკელები ჯერჯერობით ვერ შეთვისებია
ამგვარ ტრადიციებს, ვინაიდან მათ შეხვედრაში, სწორეთ რომ ესთქვათ არ შეხვე-
დრაში სრულიად არა სჩანს შევარდნული წესრიგი, შევარდნულ იდეების შეთვისება
და მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდება.

3. აზზიანიძე.

ქუთაისის „შევარდენი“-ს ველოსიპედელი.

ჟღოსიპიძელთა სიქციას ქუთაისის „შვანდენ“-თან.

მარტის რიცხვებში ძმა დავით ჯავრიშვილმა განიზრახა დაეარსებია ტან-სავაჯიშო
საზოგადოება „შევარდენთან ველოსიპედელთა სექცია. ეს აზრი სისრულეში იქნა
მოყვანილი. ქუთაისში აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყო მაცადინობა ველოსი-
პედელთა გუნდმა, რომელსაც თვით დავით ჯავრიშვილი ხელმძღვანელობდა. უმ-
თავრესად ყურადღება ქონდა მიქცეული სიარულის სწავლას და ფიგურების კეთე-
ბას. აგრეთვე ველოსიპედელთა სექციის მიზანი იყო გაემართა შეჯიბრებები ურ-
თიერთ შორის: ჩქარ სიარულზე, ნელ სიარულზე და ფიგურების კეთებაზე. დღემ-
დის უმთავრესი ყურადღება მიქცეული ქონდა სიარულის სწავლას და ფიგურების



კეთებას. საზოგადოებას ველოსიპედელთა გუნდმა უჩვენა თავისი მოკლე ხნის მანძილზე მუშეგარი, 9 მაისს, როდესაც იყო გამოსვლები ტან-საფარჯიშო სასოგადოება „შე-
ვარდენი“-ს. ახლო მომავალში მას მიზნად აქვს მოაწყოს შეჯიბრები ველოსიპედ-
დელთა შორის და ექსკურსიები. ასეთი შეკავშირება ველოსიპედელთა შორის ხდებოდა მთელ ევროპაში, მაგალითათ ბელგიაში და ინგლისში; რაც შეეხება შეჯიბრებებს, ესენი იმართებოდა ყველგან. ჯგუფობრივი შეკავშირება ველოსიპედელთა შორის, თუ არ ვცდებით, პირველია საქართველოში და ვუსურვოთ მას მომავალში ნაყოფიერი მუშაობა ქუთაისის „შევარდენ“ თან.

შეჯიბრება საზოგადოება „შევარდენში“

თფილისში 16 და 17 აპრილს სახ. „შევარდენში“ გაიმართა მოვარჯიშეთა შეჯიბრება დაბალ საშუალო და მაღალ თანრიგებში და „შევარდენის“ პირველობაზე.

შედეგები მოყვანილია შემდეგ ცხრილში:

	ნიშნების საერთო ჯამი	უმალეს ნიშნის %/o
14 „შევარდენის“ პირველობაზე მონაწილეობდა 4 მოვარჯიშე.		
გაიოზ ბერელაშვილი, დიდი დიპლომი—1 ადგილი	113,75	81,25
გიორგი მერკვილაძე, მცირე დიპლომი—2 ადგილი	107,5	76,82
ივანე მაჭავარიანი, უდიპლომით—3 ადგილი	93	66,43
მაღალ თანრიგში მონაწილეობდა 8 მოვარჯიშე.		
გიორგი ნიკოლაძე, დიდი დიპლომი—1 ადგილი	49,2	82
ივანე მაჭავარიანი, მცირე დიპლომი—2 ადგილი	48,4	72,33
ივანე ბერიძე, უდიპლომით—3 ადგილი	37,4	62,33
საშუალო თანრიგში მონაწილეობდა 5 მოვარჯიშე.		
ბორის გერასიმოვი, 1 ადგილი უდიპლომით	40,5	67,5
მიხეილ პატარიძე, 2 „ „	38	63,33
ვლადიმერ ბესტაშვილი 3 „ „	32	53,33
დაბალ თანრიგში მონაწილეობდა 11 მოვარჯიშე.		
სიმონ ფიცხელაური, 1 ადგილი უდიპლომით	38,4	64
გრიგოლ კაკაურიძე, 2 „ „	38	63,33
გიორგი ხუნდაძე, 3 „ „	36,2	60,33

შეჯიბრებას დაესწრო მრავალი მაყურებელი. მოწვეულ სტუმართ შორის შეჯიბრებას დაესწრენ: სახლბო განათლების მინისტრის ამხანაგი ნოე ცინცაძე, ქალაქის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი, დამფუძნებელ კრების განათლების კომისიის თავმჯდომარე ლ. ნათაძე, კ. ჯაღარძე. დამფუძნებელ კრების წევრი დ. შარაშიძე, გ. ქიქოძე, ნ. კალანდაძე და სხვ.

მიხეილ გორბაჩი.

ქუთაისის „შეგარდნი“-ს ცან-საგარჯიშო გამოსვლა 9 მაისს.

საქართველოს დამოუკიდებლობამდე „შეგარდნი“-ს იდეა სრულებით უცხო იყო ქართველ ერისათვის და არამც თუ „შეგარდნი“-ს იდეა, არამედ თვით ვარჯიშობაც ისეთი შეზღუდული იყო, რომ იგი გარდა თფილისის „სოკოი“-ისა და რამოდენიმე სასწავლებელის გარეთ არ გადიოდა რასაკვირველია ხალხი ასეთ პირობებში „შეგარდნი“-ს ვერ გაიცნობდა, ვერ დაუხლოვდებოდა მას და ვერ გაუწევდა თანაგრძნობას. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ სურათი იცვლება; ეხლა „შეგარდნი“ სტოვებს ვიწრო ოთხ კედელს და გამოდის გარეთ. მის წინანდელ უფერულ ჩონჩხს სხეული ეძლევა, სული ედგმება და თანდათანობით „შეგარდნი“ ხდება ერის სამკვიდრებელათ. „შეგარდნი“, როგორც ასეთი ახალი მოვლენა საქართველოში, მაგრამ მაინც მალე მოაკიდა ფეხი. მისი ნორჩი ფრთები სწრაფად იზრდება და ჩვენ სულ მალე ვიხილავთ რომ მთელი საქართველო მოიფინება „შეგარდნი“-ს საზოგადოებებით. ქუთაისში „შეგარდნი“ 1919 წელს ოქტომბერში დაარსდა. უკანასკნელ ხანებში დაარსდა აგრეთვე სენაკსში და სამტრედიასშიც. უნდა დაარსდეს ახლო მომავალში ხაშურში, ფოთში, ბათუმში და სს.

როგორც ამგვარ მოვლენის, „შეგარდნი“-ს გამოსვლა პირველი იქნება ქუთაისში და ამ გამოსვლის დაფსება გვაქვს ჩვენ მიზნათ დასახული. ყ მაისის გამოსვლას მიზნათ ქონდა გაცენო საზოგადოებ-სათვის ვარჯიშობა იმ რიგათ, როგორც იგი „შეგარდნი“-ში ჩვეულებრივათ სწარმოებს და გარდა ამისა დაენახებინა თუ რა შედეგებს მიაღწია „შეგარდნი“-ს მუშაობამ რამოდენიმე თვის განმავლობაში. გამოსვლანე ნაჩვენები იყო საშეგარდნი ტან-ვარჯიშობის ყველა დარგები ტურნის სისტემის მიხედვით, გარდა ბრძოლითი მოძრაობებისა. პრაგარამის მიხედვით პირველი ნომერი იყო უმცროს ქალების ვარჯიშობა აღმებით, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელი გამოდგა „ვინაიდან პატარა ბავშვებისაგან მეტის მოთხოვნა შეუძლებელია. შემდეგ მოჰყვა უმცროს ვაჟების ჯოხებით ვარჯიშობა და თუმცა ისიც დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ უმცროს ქალების ვარჯიშობაზე უფრო სუსტი გამოდგა. მოვარჯიშეები ადგილ-ადგილ მოძრაობის შესრულებას იგვიანებდენ. უმცროს ქალების და ვაჟების ტან-ვარჯიშული თამაშობანი მეტად მხიარულად ჩატარდა და საზოგადოებაშიც ინტერესი გამოიწვია. რაც შეეხება უმცროს ქალების და ვაჟების იარაღებზე ვარჯიშობას, აქ ჩანს შესამჩნევი წინსვლა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში. უფროს ვაჟების და ქალების თავისუფალი მოძრაობანი თავის სირთულით გაკვირვებას იწვევდა; რაც შეეხება შესრულებას ქალების მხრივ იგი დამაკმაყოფილებელი იყო, მხოლოდ ვაჟებმა ისუსტეს. შემდეგ, პრაგარაში მიყვებოდა უფროს ქალების და ვაჟების ვარჯიშობა იარაღებზე. აქ უნდა აღვნიშნოთ საერთო წინაწევა და მოვარჯიშეთა მხრივ ელემენტარულ საფუძვლების შეთვისება, რაც მომავლისათვის კარგ იმედს იძლევა. ველოსპედელებს ერთი გასამართლებელი საბუთი აქვს ეს არის მზადების შედარებით მოკლე ვადა და თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, მათი ვარჯიშობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ამასაც დაუმატებთ, რომ მათ კიდევ ბევრი შრომა და გაწვრთნა სჭირდებათ. რაც შეეხება წურთენელ ქალების ვარჯიშობას ორბელზე და მაგიდაზე დრიკაბოვით—აქ მათ აუცილებელი წინსვლა ეტყობათ. ვარჯიშობამ მწყობრათ ჩაიარა და საზოგადოებაშიც დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. როგორც ყოველთვის და ყველგან ყურადღების ცენტრი იყო წურთენელ ვაჟების ვარჯიშობა იარაღებზე (საწვდომ ორბელზე და ღერძზე). პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საერთოთა წურთენელ ვაჟების შესამჩნევი პროგრესი. აქ ცალკე პირების ვარჯიშობას არ შევხები, ციტყვით მხოლოდ, რომ

საერთო შთაბეჭდილება მეტად კარგი დარჩა და წურთენელების მარდი და მოხდენილი ვარჯიშობის დამსწრე საზოგადოებაში დაუსრულებელ ტაშს იწვევდა. წურთენელ ვაჟების იარაღებზე ვარჯიშობის შემდეგ მოედანს ამშვენებს წურთენელ ქალების თავისუფალი მოძრაობა, რომელიც სირთულით, სილამაზით და შესრულებითაც მეტად ლამაზი გამოდგა, მხოლოდ უნდა აღვნიშნო ზოგიერთ მოვარჯიშეთა არა სასურველი ჩვეულება-ეს არის ხმა-მადლა ანგარიში დახმისა. ასე რომ, როდესაც მოვარჯიშეს ვარჯიშობის დროს პირი დადებული აქვს და მასთან ერთად ტუჩებს შესამჩნევით ამოძრავებს, შთაბეჭდილება რასაკვირველია ფუჭდება. დასასრულ მივაწყო საერთო გუნდობი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ოთხსი მოვარჯიშე, საკმაოდ რთული და ლამაზი იყო და მეტად სამწუხაროა, რომ იგი ფოტოგრაფიის მიერ არ იყო გადაღებული. გუნდობი, თავისუფალი მოძრაობიდან და აგრეთვე მთელი პროგრამის ნობრები შედგენილი იყო თვით ვარჯიშთათვის ძმა დათა ჯავარიშვილის მიერ. უნდა ითქვას ქუთაისის „შევარდენი“-ს საამაყოთ, რომ დიდს და დაუფასებელ ხელმძღვანელობას უწევს მას ძმა დ. ჯავარიშვილი. ეს ენერგიით და მონდობილობით საესე ყმაწვილი არ ზოგავს შრომას და უნარს, რათა „შევარდენი“-ს საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგეს დასავლეთ საქართველოში და ჩვენ თამამთ შეგვიძლია მას ქუთაისის „შევარდენი“-ს სულისჩამდგემლი ვუწოდოთ. საბოლოოთ უნდა ითქვას, რომ საერთო შთაბეჭდილება მ მისის გამოსვლისა, როგორც სუფთა ჰაერზე პირველი საჯარო გამოსვლა ქუთაისის „შევარდენი“-სა მეტად კარგი და სასიამოვნო იყო და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში „შევარდენი“-ისეთ ვარჯიშთათვის ხელმძღვანელობით, როგორც მას ყავს, მალე ძლიერ გაიზრდება და თავის ასეულებს ათასეულებათ და ათათასეულებათ აქცევს დასავლეთ საქართველოში და ასე აწაჩრათ მომავალ მოქალაქეებს და მებრძოლებს გაუზდის საყვარელ სამშობლოს.


16

3. ლექსა.

ქუთაისის „შევარდენი“-ს ფეხბურთელი

ფეხბურთელთა შვიდბრძა ქუთაისში.

კვირას 16 მისს ქუთაისში პირველ ათასეულის კაზარმების ეზოში მოხდა ფეხბურთელთა შეჯიბრება თფილისის ფეხბურთელთა გუნდის „26 მისი“-ს და ქუთაისის ტან-სავარჯიშო საზოგადოების „შევარდენის“ ფეხბურთელთა I გუნდის შორის. შეჯიბრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. შედგვი იყო მ: 0. ე. ი. თფილისის ფეხბურთელთა გუნდმა „26 მისი“-მა ვაიტანა მ და ფეხბურთელთა ჯგუფმა „შევარდენი“-მა კი ვერც ერთი. ამას შეუწყო ხელი ჯერ ერთი იმან რომ ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი დღ-ნ არ გამოცხადდა ორი მოთამაშე და ისინი შეცვლილი იყვნენ სხვა მოთამაშეებით და ამისთანა შემთხვევა კი ყოველთვის დიდ ზიანს აყენებს ფეხბურთელთა გუნდს. რაც გინდა კარგი მოთამაშე იყვეს, შეუთამაშებელი თავის ამხანაგებთან, იმდენს სარგებლობას ვერ მოუტანს გუნდს როგორც შეთამაშებული და უფრო სუსტი მოთამაშეც იყვეს, ვინემ მისი მოადგილე. ასეთი შემთხვევა იყო ქუთაისელ ფეხბურთელთა გუნდშიც. ამას გარდა თფილისის ფეხბურთელთა გუნდს „26 მისი“ მოწვეული ყავდა სხვა გუნდებიდან (თფილისის „შევარდენიდან“) ფეხბურთელი ბლანკმანი, რომელიც ითვლება პირველ მოთამაშეთ მთელს თფილისში და რომელმაც შეგადო სამჯერვე ბურთი გოლში. საერთოდ შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კარგათ თამაშობდნენ თფილისის გუნდიდან ბლანკმანი (ფორვარდი), გიორგიძე (ავ-ბეკი) და ლგოტაი (ბეკი). ქუთაისის გუნდიდან აღსანიშნავია ჯოჯუა (ცენტრ-ავბეკი). საერთოდ შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა. ქუთათურ ფეხბურთელებმა „შევარდენი“-ს კლუბში თფილისელებს გაუმასპინძლა ამხანაგურ ბანკეტით. პასუხისმგებ-რედაქტორი სოსო ისლანიშვილი.



70. 7p. 7/68



ქუთაისის
ტან-სავარჯიშო

საზღვადღეზა
„შევარდენი“

რედაქციაში (პუშკინის ქუჩა, თეთრ ხილთან) იყიდება
 შემდეგი გამოცემები:

- | | | |
|----|---|---------|
| 1. | ქურნალი „შევარდენი“ № 1. | 25 მან. |
| 2. | საშევარდნო ტან-ვარჯიშის სახელსახეზა
(ტერმინოლოგია) | 20 " |
| 3. | ვარჯიშობის განრიგეზა, უფროს ვაჟთა
1, 2 და 3 ჯგუფის | 15 " |
| 4. | " " " "
4, 5 და 6 " " | 15 " |
| 5. | " " " "
7, 8 და 9 " " | 15 " |

ოქრი თუზანი

